



საქართველოს იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

**დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი  
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

National center for Disease Control & Public Health



KA030628725193920

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99, ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001  
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1231

08 / აპრილი / 2020 წ.

შპს „ეკო ბიოქემია“-ს დირექტორის მიხედობილ  
პირს გვანცა მუმლაძეს

ჯალბატონო გვანცა,

სიძ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გაანალიზებულ იქნა თქვენი განცხადება, საქართველოში, შპს „ეკო ბიოქემია“-ს მიერ წარმოებული სადეზინფექციო საშუალება „Cool Sept“-ის რეგისტრაციის შესახებ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია: 1. ინფორმაცია სადეზინფექციო საშუალების გამოყენების სფეროს, წესებისა და პირობების შესახებ. 2. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი 3. დასკვნა საშუალების მადეზინფიცირებელი ეფექტის შესახებ.

აქტუალებისა და ვირუსების ეროვნული საცავის ლაბორატორიაში შემონახულ იქნა სადეზინფექციო საშუალება მადეზინფიცირებელი ეფექტი S. aureus ATCC 25923, P.aeruginosa ATCC 27853, E.coli ATCC 25922 და E. hirae ATCC 10541 შტამებით. სადეზინფექციო საშუალება მითითებული ექსპონირებით უზრუნველყოფა მიკრობების გაუვნებლობა და შესაძლებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება ეთოლური რეკომენდაციის შესაბამისად.

**გამოყენების მეთოდი**

„Cool Sept“ წარმოადგენს ეთილის სპირტზე დამზადებულ ხელის ანტისეპტიკურ ხსნარს, რომელსაც ახსნაობის მიკროორგანიზმებზე მოქმედების ფართო სპექტრი. შეიცავს დამარბილებელს, რომელიც უზრუნველყოფს კანის სირბილეს. მის შემადგენლობაში შედის: ეთილის სპირტი 83,33 მლ, ნყალბადის ჭეხილი 4,17მლ, კლიფორნი 1,45მლ ხოლო დანამატები: ეთერზეთები, ვიტამინი A და E და ფენილენოლინური ნყალი.

რეკომენდაცია	ზემოქმედების დრო
ხელის ჰიგიენური დამუშავებისთვის	დაიტანეთ ხელზე 0,5 მლ ზემოქმედების დრო 3წუთი

**უსაფრთხოების წესები**

„Cool Sept“-ის გამოყენება დაუშვებელია სადეზინფექციო საშუალების ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ; საშუალების გამოყენებისას აუცილებელია სამედიცინო პერსონალმა გაეცნოს ეტიკეტს, ინფორმაციას პროდუქტის შესახებ და დაიცვას უსაფრთხოების წესები.

**ზევითა და ეტიკეტირება, შენახვის ვადები**

„Cool Sept“-ის ხანარი შეფუთულია ქარხნული წესით. შენახვის ვადა 2 წელი წარმოების თარიღიდან. ინახება კარგად დახურულ ჭურჭელში, მშრალ, გრილ სათავსოში კვების პროდუქტებისაგან მოშორებით.

**წარმოებელი**

შპს „ეკო ბიოქემია“ მცხეთა სოფელი ნეროვანი.  
ტელ: +995 593 38 39 43

**ბიგიენური დასკვნა**

„Cool Sept“ წარმოადგენს სადეზინფექციო საშუალებას, რომელიც განკუთვნილია კანის ანტისეპტიკური და ბიგიენური დამუშავებისათვის, მწარმოებლის მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად სამედიცინო - პროფილაქტიკურ და საგანმანათლებლო დანიშნულების დაწესებულებებში.

სატივისცემო,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერა/  
შტამდასმულია  
ელექტრონულად



ირმა ხონელიძე

